

ვაჟა შენგელია

ადიღურ (ჩერქეზულ) ფონემათა ტრანსლიტერაციის ზოგი საკითხი

აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა ადიღურ (ჩერქეზულ) ქვეჯგუფში ორი სალიტერატურო ენაა – ადიღური (ჩერქეზული) და ყაბარდოული (ყაბარდოულ-ჩერქეზული). ამ ენებში ფონემათა მეტი წილი საერთოა და მათი ტრანსლიტერაციის წესები ქართულში, ბუნებრივია, ერთნაირია; ეს წესები განხილული იყო „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ XIV-XVI ტომებში გამოქვეყნებულ წერილებში [შენგელია 2014: 159-164; შენგელია 2015: 111-115; შენგელია 2016: 137-141]. ამჯერად შევხებით ადიღურ ენათა დიფთონგებისა და რამდენიმე სპეციფიკური ყაბარდოული ფონემის ტრანსლიტერაციის საკითხებს, რომლებიც განხილვის საგანი არ ყოფილა.

I. ადიღურ (ჩერქეზულ) დიფთონგთა ტრანსლიტერაცია ქართულში

ადიღურ (ჩერქეზულ) ენებში ექვსი აღმავალი დიფთონგი გამოიყოფა (აა, აა, აა, აა, აა, აა), რომელთა პირველი კომპონენტი სუსტი (არამარცვლოვანი) ხმოვანია („სონანტი“) – **ა** ან **უ**, მეორე – მარტივი – **ა**, **ჰ**, ან **გ** [როგავა, კერაშევა 1966: 21-22]. ჩერქეზულ საკუთარ ლექსიკაში მარტივი **ა** და **უ** ხმოვნები მხოლოდ პოზიციურად შეიძლება მივიღოთ [კუმახოვი 1967: 14; შაგიროვი 1967: 166], ხოლო მარტივი **ე** და **ო** სასესხებ ლექსიკურ ერთეულებში დასტურდება.

ჩერქეზულ ენათა დიფთონგების (მოქმედ ანბანებში – **ა**, **ე**, **ი**, **ა**, **ე**, **ო**) ქართულად გადმოცემა ორ შემთხვევაში მარტივი ხმოვნით მოხდება, სხვა შემთხვევებში – ხმოვანთა კომპლექსებით: **ა** → **აა**, **ე** → **ეე**, **ი** → **იი**, **ა** → **აა**, **ე** → **ეე**, **ო** → **ოო**, **უ** → **უუ**.*

* ჩერქეზული სახელები მოხმობილია ჯ. კოკოვის მონოგრაფიებიდან (იხ. კოკოვი 1973; კოკოვი 1983).

ა დ ი ლ უ რ ი **я**

Яхье

Япэнэс

Январ

ЯкIас

Ябгъфщхьэ

და სხვ.

ა დ ი ლ უ რ ი **е**

Егъуж

Елыдж

Елмэс

Ерыгу

Ерыщ

და სხვ.

ა დ ი ლ უ რ ი **и**

Ибарыч

Илэ

Исльэм

Езид

Джэриმэс

და სხვ.

ა დ ი ლ უ რ ი **ya**

Уардэхъан

Уахьид

Уаз

Уатэ

Уауэ

და სხვ.

ა დ ი ლ უ რ ი **o**

Ос

ОсылI

Оружа

ქ ა რ თ უ ლ ი **oa**

oaჰია

oaფენეს-ი

oaნვარ-ი

oaჰას-ი

oaბღაშჰა

ქ ა რ თ უ ლ ი **oe**

oeღვიჟ-ი

oeლიჯ-ი

oeლმეს-ი

oeრიგვ-ი

oeრიშ-ი

ქ ა რ თ უ ლ ი **o**

oბარიჩ-ი

oლა

oსლამ-ი

oეზიდ-ი

oჯერიმეს-ი

ქ ა რ თ უ ლ ი **ua**

uaრდებან-ი

uaჰიდ-ი

uaზ-ი

uaთა

uaუა

ქ ა რ თ უ ლ ი **uo**

uoეს-ი

uoესიტლ-ი

uoერუჰა

Отэ
Озмеч
და სხვ.

უეთა
უეზმეჩ-ი

ადიღური у
Убых
Ужыхъу
Унэж
Уцац
Утă
და სხვ.

ქართული უ
უბიხ-ი
უჟიხვ-ი
უნეჟ-ი
უცაც-ი
უთა

II. ოთხი ყაზარდოული ფონემის გადმოცემისათვის ქართულში

ადიღური (ჩერქეზური) და ყაზარდოული (ყაზარდოულ–ჩერქეზული) ახლომონათესავე ენებია და ფონოლოგიური აგებულების თვალსაზრისით მათ ბევრი სპეციფიკური ნიშანი აერთიანებს: ხმოვანთა სამწევრა სისტემა, სისინ–შიშინა სპირანტთა სამეულები, ლაბიალიზებული თანხმოვნები, შუაენისმიერი სპირანტები, ლატერალები... ამის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ყაზარდოულ ფონემათა მეტი წილის ტრანსლიტერაცია ქართულში, როგორც ზემოთ ითქვა, იმავე წესებით ხორციელდებოდეს, როგორც ადიღურში. ამასთან ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ყაზარდოულში ოთხი ისეთი ფონემა გამოიყოფა, რომლებიც ადიღურს არ გააჩნია; ესენია: კბილბაგისმიერი სპირანტები – მჟღერი **ვ** და მკვეთრი **ჭ**, ფარინგალური ხშულები – მკვეთრი **ყ** და მისი ლაბიალიზებული სახეობა **ყ'**.

ვ და **ყ** თანხმოვნების გადმოცემას ქართულში რაიმე დაბრკოლება არ ახლავს, რადგან მათი ფონეტიკურად იდენტური თანხმოვნები ქართულს მოეპოვება:

ყ ა ზ რ დ ო უ ლ ი
Теуваж
Валодэ
Пакъэ
Къет

ქ ა რ თ უ ლ ი
თიაუვაჟ-ი
ვალოდა
ფაყა
ყიათ-ი

Къаплъан

ყაფლან-ი

და სხვ.

ყაბარდოული ჭ წარმოთქმის თვალსაზრისით მეტ სიახლოვეს ქართულ ჰ-სთან ამჟღავნებს. ამიტომ მისი გადმოღებაც სათანადოდ უნდა მოხდეს:

ყ ა ბ ა რ დ ო უ ლ ი

ქ ა რ თ უ ლ ი

ФиІѲІ

ფოყაჰ-ი

ШумаѲІә

შუმაჰა

ЛыѲІ

ტლიჰ-ი

და სხვ.

ყაბარდოული ყ ქართულად უნდა გადმოიცეს თანხმოვანთა კომპლექსით ყვ:

ყ ა ბ ა რ დ ო უ ლ ი

ქ ა რ თ უ ლ ი

КъуатІә

ყვატა

КъуакІуә

ყვაკვა

Шэбэтыкъуә

შებეთიყვა

და სხვ.

ამგვარად, ქართულში ჩერქეზულ ენათა ფონემების ტრანსლიტერაციის წესები ძირითადად ერთნაირია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ფონემათა ქართულად გადმოცემას, რომლებითაც ეს ენები სხვაობენ.

ლიტერატურა

კოკოვი 1973 – Дж. Н. Коков, Вопросы адыгской (черкесской) антропонимии, Нальчик.

კოკოვი 1983 – Дж. Н. Коков, Из адыгской (черкесской) ономастики, Нальчик.

კუმახოვი 1967 – М. А. Кумахов, Адыгейский язык. – Языки народов СССР. IV. Иберийско-кавказские языки, Москва.

როგავა, კერაშევა 1966 – Г. В. Рогава, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар-Майкоп.

შაგიროვი 1967 – А. К. Шагиров, Кабардинский язык. – Языки народов СССР. IV. Иберийско-кавказские языки, Москва.

შენგელია 2014 – ვ. შენგელია, პირთა ჩერქეზული სახელების ტრანსლიტერაციისათვის ქართულში. I. ხმოვნები. – ქსკს, XIV, თბილისი.

შენგელია 2015 – ვ. შენგელია, ჩერქეზულ თანხმოვანთა ტრანსლიტერაციისათვის ქართულში. I. სპირანტები და სონორები. – ქსკს, XV, თბილისი.

შენგელია 2016 – ვ. შენგელია, ჩერქეზულ თანხმოვანთა ტრანსლიტერაციისათვის ქართულში. II. ხშულები. – ქსკს, XVI, თბილისი.

Vazha Shengelia

Some Issues of Adyghe (Circassian) Phoneme Transliteration

Summary

In the Adyghe (Circassian) languages six rising diphthongs are distinguished: in the Circassian alphabets – **я, е, и, ya, o, y** (in the Latin transcription **ja, jă, jə, wa, wă, wə**); two of these diphthongs must be transliterated into two simple vowels – **и** → **o**, **y** → **უ** in Georgian and four of them must be transliterated into the vowel clusters **я** → **ოა**, **е** → **ოე**, **ya** → **უა**, **o** → **უე**.

In the Kabardian (Kabardian-Circassian) literary language there are four phonemes different from the Adyghe literary language: labiodentals – the aspirate **ф** and the harsh **ф**, the pharyngeal harsh mute **кх** and **кху**; they will be transliterated into the phonetically relatively close consonants – **ф** → **ფ**, **ф** → **პ**, **кх** → **ყ** or the consonant cluster – **кху** → **ყვ**.